№1801 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის №102 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს მიეცეს თანხმობა, განახორციელოს თავის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების, კერძოდ, ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო

საშუალების, რომლის მონაცემებია: მარკა - Toyota Corolla, ს/კ JTNBV58E902055439, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**